ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-127

2010 წლის 7 დეკემბერი
ქ. ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2010 წლის განმავლობაში კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 31 დეკემბრის №-123 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 31 დეკემბრის №-123 განკარგულებით დამტკიცებული „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2010 წლის განმავლობაში კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის პროგრამაში“ შევიდეს ცვლილებები თანახმად დანართისა.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ჯ. ჯინჭარაძე).
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**